



რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების
მონიტორინგი
წინასაარჩევნო პერიოდში

პროექტი # S-12-155

საანგარიშო პერიოდი: 24-30 სექტემბერი, 2012 წელი

პროექტის ხანგრძლივობა: 11 ივნისი-10 დეკემბერი, 2012
პროექტის ბიუჯეტი: 31 000 დოლარი

მონიტორინგის მერვე ეტაპის ძირითადი მიგნებებია:

- რეგიონალურ ტელეარხებზე მონიტორინგის სუბიექტების ძალიან მცირე ნაწილს ეთმობა დრო ;
- მკვეთრად შემცირდა ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის გაშუქება;
- მოიმატა ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და კოალიცია "ქართული ოცნების" აქტივობების გაშუქებამ;
- სიუჟეტების უმეტესობა სუბიექტების აქტივობების შესახებ ზედაპირულ ინფორმაციას შეიცავს და არ წარმოაჩენს საკითხის ირგვლივ არსებულ განსხვავებულ ან კრიტიკულ მოსაზრებებს;
- ტელეკომპანიათა უმრავლესობაში დაფიქსირდა ნეგატიურ ტონი ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიმართ, რადგან აქტიურად შუქდებოდა ცესკოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საარჩევნო უბნებზე ვიდეო-ფოტო გადაღების შეზღუდვის შესახებ;

ანგარიში წარმოადგენს "ინტერნიუსი - საქართველოს" მონიტორინგის ჯგუფის მიერ 2012 წლის 24-30 სექტემბრის მანძილზე ჩატარებული კვლევის შედეგებს. მედიის მონიტორინგი ხელს უწყობს მისი პროფესიული სტანდარტის ზრდას და დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი ჟურნალისტიკის განვითარებას. ჩვენი კვლევის მიზანია საქართველოს რეგიონალური ტელემაუწყებლების მთავარ საინფორმაციო გადაცემებზე დაკვირვებით გამოვავლინოთ მედიის მიერ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების მიმდინარეობა და ტენდენციები.

ანალიზი და მეთოდოლოგია

კვლევა განხორციელდა საქართველოს 20 რეგიონალურ ტელემაუწყებელზე: "25-ე არხი" (ქ. ბათუმი), "რიონი" (ქ. ქუთაისი), *ქვემო ქართლის ტელე/რადიო კომპანია* (ქ. რუსთავი), "ოდიში" (ქ. ზუგდიდი), "თანამგზავრი" (ქ. თელავი), "მე-9 არხი" (ქ. ახალციხე), "თრიალეთი" (ქ. გორი), "გურია" (ქ. ოზურგეთი), "იმერვიზია" (ჭიათურა), "არგო" (ქ. ზესტაფონი), "გურჯაანი" (ქ. გურჯაანი), "ბორჯომი" (ქ. ბორჯომი), *მარნეული ტვ* (ქ. მარნეული), "ლტვ" (ქ. ლაგოდეხი), "მე-12 არხი" (ქ. ბოლნისი), "მეგა ტვ" (ქ. ხონი), "ზარი" (ქ. სამტრედია), "მე-9 ტალღა" (ქ. ფოთი), "ქრონიკა" (ქ. დუშეთი), "ეგრისი" (ქ. სენაკი).

24-30 სექტემბრის მანძილზე საინფორმაციო გადაცემები ჯერჯერობით ისევ არ ჰქონდათ ტელეკომპანია "ქრონიკას" (ქ. დუშეთი) და "ეგრისს" (ქ. სენაკი).

დაკვირვება მიმდინარეობდა რეგიონალური ტელემაუწყებლების სადამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებზე ე.წ. "პრაიმ-ტაიმის" პერიოდში, როდესაც მაყურებელთა რაოდენობა პიკს აღწევს.

პროექტში გამოყენებული მეთოდოლოგია ეფუძნება რაოდენობრივ და თვისებრივ კვლევებს. რაოდენობრივი მონიტორინგი განსაზღვრავს რაოდენობრივ ინდიკატორებს, რომლებიც შეიძლება დაითვალოს და გაანალიზდეს. ხოლო თვისებრივი მონიტორინგი გამოიყენება მედიის საშუალებების მუშაობის ეფექტურობის შესაფასებლად ისეთ მაჩვენებლებთან მიმართებაში, როგორცაა ეთიკური ან პროფესიონალური სტანდარტები, რომელთა რაოდენობრივად გაზომვა რთულია. კერძოდ, ყურადღება ექცეოდა ინფორმაციის დამახინჯების, დაუბალანსებელი გაშუქების, ტენდენციურობის და ნებისმიერ ისეთ ფაქტს, რომელიც მნიშვნელოვანია ინფორმაციის ხარისხის წარმოსადგენად.

რაოდენობრივი მონაცემები მოიცავს ეთერში გასული იმ სიუჟეტების ქრონომეტრაჟს (წამი), რომლებიც ჩვენს მიერ წინასწარ შერჩეულ სუბიექტებს შესახებ მომზადდა ან სადაც ისინი ნახსენები იყვნენ.

დიაგრამებზე სუბიექტებისთვის დათმობილი დრო მოცემულია წამებში. თუ დიაგრამაზე რომელიმე პოლიტიკური პარტია, რომელიც მონიტორინგის სუბიექტს წარმოადგენს, არ არის წარმოდგენილი, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ პერიოდში ამა თუ იმ არხზე მას დრო საერთოდ არ დაეთმო.

პირდაპირი და ირიბი გაშუქება გვიჩვენებს, სიუჟეტში სუბიექტი თვითონ საუბრობს თუ მასზე საუბრობენ სხვები: ჟურნალისტი ან სხვა რესპონდენტები. დიაგრამებზე პირდაპირი და ირიბი გაშუქება მოცემულია პროცენტებში. 100 პროცენტად აღებულია თითოეული სუბიექტისთვის ამა თუ იმ არხზე დათმობილი დრო.

გაშუქების ტონი ენიჭება სუბიექტს მაშინ, როცა მასზე საუბრობენ ირიბად და ასევე მაშინ, როდესაც ის თვითონ საუბრობს თავის თავზე, სხვა სუბიექტებზე ან ზოგად საკითხებზე. დიაგრამებზე ნაჩვენებია ტონის სამი კატეგორია: პოზიტიური, ნეიტრალური და ნეგატიური.

რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების მონიტორინგი

გაშუქების ტონი მოცემულია პროცენტებში. 100 პროცენტად აღებულია თითოეული სუბიექტისთვის ამ არხზე დათმობილი დრო.

საინფორმაციო გამოშვებებზე დაკვირვებისას ასევე ყურადღება ექცეოდა იმას, რომელ მოვლენებს აშუქებდნენ ტელეკომპანიები რეგიონალურს თუ ცენტრალურს.


თვისებრივი მონაცემების საფუძველზე მოხდება მედიის მუშაობის ეფექტურობის ეთიკური ან პროფესიული სტანდარტების დაცვის თვალსაზრისით შეფასება. თვისებრივი ნაწილი აერთიანებს ისეთ კომპონენტებს როგორცაა ბალანსი, ანუ რამდენად არის სიუჟეტებში წარმოდგენილი გაშუქებული საკითხის გარშემო რამდენიმე განსხვავებული მოსაზრება; სიზუსტე (არის თუ არა შეცდომები სახელწოდებებში, რიცხვებში, რესპონდენტების ვინაობაში), გამოყენებული ლექსიკა და ყველა იმ მნიშვნელოვან ასპექტს რომელიც არ იზომება რაოდენობრივად. ასევე ყურადღება ექცევა საინფორმაციოებში კადრებითა და მუსიკით მანიპულირების შემთხვევებს.

მონიტორინგის სუბიექტები არიან: პარლამენტი (სპიკერი, ვიცე-სპიკერები, პარლამენტის წევრები, კომიტეტები, აპარატი); პრეზიდენტი (პრეზიდენტის ადმინისტრაცია, მრჩეველები, პრეს-სპიკერი); მთავრობა (პრემიერ-მინისტრი, მინისტრები, მინისტრის მოადგილეები, გუბერნატორები); ხელისუფლება (სპეციფიკაციის გარეშე, ანუ როდესაც დაუკონკრეტებლად ახსენებენ); ადგილობრივი თვითმმართველობა (მერები, საკრებულოების და გამგეობების თავმჯდომარეები); ცენტრალური საარჩევნო კომისია; არჩევნების დამკვირვებლები; სახელმწიფო აუდიტის სამსახური (არჩევნების კონტექსტში); ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისია („სია“); ერთიანი ნაციონალური მოძრაობა; ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო; კოალიცია ქართული ოცნება; თავისუფალი დემოკრატები; ეროვნული ფორუმი; საქართველოს რესპუბლიკური პარტია; საქართველოს კონსერვატიული პარტია; ხალხის პარტია; საქართველოს გზა; თავისუფალი საქართველო; ახალი მემარჯვენეები; დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის; ეროვნულ-დემოკრატიული პარტია; ლეიბორისტული პარტია; მრწველობა გადაარჩენს საქართველოს; საქართველოს დემოკრატიული პარტია; ქართული დასი; ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა; ევროპელი დემოკრატები; ამომრჩეველთა ლიგა; სახალხო კრება; ოპოზიცია (სპეციფიკაციის გარეშე, ანუ როდესაც დაუკონკრეტებლად ახსენებენ).

ეს სია საბოლოო არაა და შეიძლება შეიცვალოს იმ შემთხვევაში, თუ გამოჩნდება არჩევნებთან დაკავშირებული ახალი სუბიექტი.


საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგის შედეგები არხების მიხედვით:

"25-ე არხი" (ქ. ბათუმი) - საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო (11 წთ.) მთავრობას დაეთმო, 10 წუთი - ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, 8 წუთი - კოალიცია "ქართულ ოცნებას", 7 წუთი - ერთიან ნაციონალურ მოძრაობას.




სუბიექტების გაშუქებისას სამივე ტონი გამოვლინდა. გაშუქების ყველაზე მაღალი ნეგატიური ტონი ჰქონდა მთავრობას (76%) და ცენტრალურ საარჩევნო კომისიას (64%); ასევე აჭარის მთავრობას (გაშუქების 3 წუთი) - 71% და ზოგადად ხელისუფლებას (გაშუქების 2 წუთი) - 98%. მხოლოდ ნეიტრალურ და პოზიტიურ ტონებში იყო გაშუქებული კოალიცია "ქართული ოცნება" და ახალი მემარჯვენეები.

რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების მონიტორინგი




სუბიექტებზე ძირითადად სხვები საუბრობდნენ:




საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია „25-ე არხი“ აქტიურად აშუქებდა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს. სიუჟეტებში მთავრობის, ცენტრალური საარჩევნო კომისიის, აჭარის მთავრობის და ადგილობრივი თვითმმართველობის გაშუქების უდიდესი წილი ნეგატიური იყო. აღსანიშნავია, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის ნეგატიურ ტონში (64%) გაშუქება მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილების (საარჩევნო უბნებზე ვიდეო-ფოტო

გადაღების შეზღუდვა) გაშუქებას უკავშირდება. ასევე მომზადდა სიუჟეტები სასჯელადსრულების სისტემაში მომხდარი დარღვევების, პატიმართა წამების და საპროტესტო აქციების შესახებ. სწორედ ამ სიუჟეტებზე მოდის მთავრობის ნეგატიურად (76%) გაშუქების წილი.


"რიონი" (ქ. ქუთაისი) - მონიტორინგის სუბიექტებიდან ყველაზე მეტი დრო, 24 წუთი, კოალიცია "ქართულ ოცნებას" დაეთმო. მას 21 წუთით მოჰყვება ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და 20 წუთით - ცენტრალური საარჩევნო კომისია. მთავრობას წილად ხვდა გაშუქების 16 წუთი, ხელისუფლებას - 10 წუთი.



სუბიექტებზე სამივე ტონში საუბრობდნენ. კოალიცია "ქართული ოცნების" გაშუქებისას მასზე თანაბრად საუბრობდნენ ნეიტრალურ (47%) და ნეგატიურ (42%) ტონებში. ასევე თანაბარი იყო ეს ტონები მთავრობის გაშუქებისას: 42% ნეიტრალური, 40% ნეგატიური. ნეგატიური გაშუქების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (97%) ხელისუფლების გაშუქებისას დაფიქსირდა.




სუბიექტების გაშუქებისას მათზე სხვები უფრო საუბრობდნენ. ირიბი საუბრის მაღალი მაჩვენებელი (84%) ცენტრალური საარჩევნო კომისიის და მთავრობის (74%) გაშუქებისას დაფიქსირდა.




საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია „რიონი“ მონიტორინგის სუბიექტებს აქტიურად აშუქებდა. დრო ეთმობოდა, როგორც ერთიან ნაციონალურ მოძრაობას და სახელისუფლებო სტრუქტურებს, ასევე ოპოზიციურ პარტიებს. აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტის ტექსტი მიუკერძოებელია, სიუჟეტები კი უმეტესად - დაბალანსებული. საინფორმაციო გამოშვებებში რომელიმე სუბიექტის ტენდენციურად გამოუქების ფაქტები არ დაფიქსირებულა.


ქვემო ქართლის ტელე/რადიო კომპანია (ქ. რუსთავი) - ტელეკომპანიამ 9 წუთი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გაშუქებას დაუთმო, 6 წუთი - ადგილობრივი თვითმმართველობის, 4 წუთი - კოალიცია "ქართულ ოცნების", 3 წუთი - მთავრობის.



სუბიექტებს თანაბრად აშუქებდნენ პოზიტიურ და ნეიტრალურ ტონებში. მხოლოდ კოალიცია "ქართული ოცნების" გაშუქებისას გამოვლინდა ნეგატიური (94%) და ნეიტრალური (6%) ტონები.




სუბიექტებზე თითქმის თანაბრად საუბრობდნენ როგორც სხვები ასევე თავად სუბიექტები. მხოლოდ კალიცია "ქართული ოცნების" გაშუქების ასივე პროცენტი იყო ირიბი.




24-30 სექტემბრის განმავლობაში ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანიის საინფორმაციო გამოშვებებში ძირითადად რეგიონის ახალი ამბები შუქდებოდა. თითქმის ყოველ გამოშვებაში ძირითადი აქცენტი ადგილობრივი თვითმმართველობის აქტივობებზე კეთდებოდა და მათი საქმიანობა ძირითადად პოზიტიურად (53%) იყო ნაჩვენები.


"ოდიში" (ქ. ზუგდიდი) - ტელეკომპანიამ ყველაზე მეტი დრო - 28 წუთი ერთიან ნაციონალურ მოძრაობას დაუთმო. 5 წუთი დაეთმო კოალიცია "ქართულ ოცნებას", 3 წუთი - ოპოზიციას, დაახლოებით 2-2 წუთი ახალ მემარჯვენებს და ადგილობრივ თვითმმართველობას.



სუბიექტებზე ძირითადად ორ ტონში საუბრობდნენ. კერძოდ, ერთიანი ნაციონალურ მოძრაობაზე პოზიტიურ (55%) და ნეიტრალურ (45%) ტონებში, ხოლო კოალიცია "ქართულ ოცნებასა" და ოპოზიციაზე ნეგატიურ და ნეიტრალურ ტონებში.



ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შემთხვევაში თითქმის თანაბრად გადანაწილდა პირდაპირი (56%) და ირიბი (44%) გაშუქება. ხოლო კვალიცია "ქართული ოცნების" გაშუქებისას ირიბი (83%) ბევრად სჭარბობდა პირდაპირს (17%).




საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია „ოდიში“ ძირითადად ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წინასაარჩევნო კამპანიას აშუქებდა, ამასთან უმეტესად პოზიტიურ ტონში. აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტის ტექსტი თითქმის ყოველთვის ტენდენციურია. მმართველი პარტიის შესახებ საუბრისას იგრძნობა მისი პირადი, პოზიტიური დამოკიდებულება.


აღსანიშნავია, რომ, ტექსტების გარდა, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გაშუქებისას შერჩეულია კადრები, რომელიც პარტიას პოზიტიურად წარმოაჩენს. მაგალითად, ზუგდიდში მიხეილ სააკაშვილის ვიზიტის შესახებ მომზადებულ სიუჟეტში 2 წუთი დროშებისა და ხალხის ოვაციების ფონზე მხოლოდ სიმღერა „მაგრად დაჰკარი“ ისმოდა. ეს მაშინ, როდესაც კოალიცია „ქართული ოცნების“ გაშუქებისას სიუჟეტის ხანგრძლივობა უმეტესად ერთ წუთზე ნაკლები იყო.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაფიქსირდა უზუსტობებიც. მაგალითად, ტიტრში „მომავალი საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი სოსო კორკელია „თავისუფალი საქართველოს“ წარმომადგენლად იყო მოხსენიებული.


"მე-9 არხი" (ქ. ახალციხე) - საინფორმაციო გამოშვებებში დაახლოებით 13 წუთი დაეთმო ერთიან ნაციონალურ მოძრაობას. გაშუქების 5 წუთი წილად ხვდა კოალიცია "ქართულ ოცნებას", ხოლო 3 წუთი - მთავრობას.



ყველაზე ხშირად გაშუქებულ სუბიექტებზე პოზიტიურ და ნეიტრალურ ტონებში საუბრობდნენ. მხოლოდ მთავრობის მიმართ დაფიქსირდა პოზიტიური (26%) და ნეგატიური (74%) გაშუქება.




სუბიექტების გაშუქებისას ირიბი საუბარი ბევრად სჭარბობდა პირდაპირს:




საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია „მე-9 არხმა“ გააშუქა როგორც ზოგადად ქვეყანაში, ასევე რეგიონში მიმდინარე მოვლენები. კერძოდ, გაშუქდა თბილისსა და ახალციხეში გამართული სტუდენტების საპროტესტო აქციები, რომლებიც ციხეში არსებული ძალადობის წინააღმდეგ იყო მიმართული. ამ მოვლენების გაშუქების შედეგია მთავრობის მიმართ

დაფიქსირებული მაღალი ნეგატიური ტონი (74%). ასევე დიდი დრო (13 წუთი) დაეთმო ახალციხეში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წინასაარჩევნო აქტივობების გაშუქებას.


"თანამგზავი" (თელავი) - საინფორმაციო გამოშვებებში 10 წუთი დაეთმო მთავრობას, 8 წუთი - ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, 6-6 წუთი ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და კოალიცია "ქართულ ოცნებას", 5 წუთი - ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას.



სუბიექტებზე სამივე ტონში საუბრობდნენ, თუმცა ნეიტრალურ ტონში გაშუქება ყველა შემთხვევაში სჭარბობდა პოზიტიურს და ნეგატიურს. მხოლოდ ხელისუფლების (გაშუქების 3 წუთი) შემთხვევაში დაფიქსირდა მაღალი ნეგატიური ტონი - 94%.




სუბიექტების გაშუქებისას ირიბი და პირდაპირი საუბრის მაჩვენებლები თითქმის თანაბარი იყო, მხოლოდ მთავრობას ჰქონდა ირიბი გაშუქების 78%.




ტელეკომპანია „თანამგზავრი“ მონიტორინგის სუბიექტებს აქტიურად და მიუკერძოებლად აშუქებდა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შუქდებოდა, როგორც რეგიონული, ასევე ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები. ამასთან, რომელიმე სუბიექტის

ტენდენციურად გაშუქების ფაქტი არ დაფიქსირებულა. ჟურნალისტის ტექსტი ყოველთვის მიუკერძოებელია, სიუჟეტების უმეტესობა კი - დაბალანსებული.


"თრიალეთი" (ქ. გორი) - მონიტორინგის სუბიექტებიდან ყველაზე მეტი დრო - 13 წუთი კოალიცია "ქართულ ოცნებას" დაეთმო; 7 წუთი დაეთმო მთავრობას, 5 წუთი - ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, 4 წუთი - ადგილობრივ თვითმმართველობას.



სუბიექტებს სამივე ტონში აშუქებდნენ. გაშუქების მაღალი ნეგატიური ტონი ჰქონდათ: მთავრობას (70%), ცენტრალურ საარჩევნო კომისიას (51%) და ადგილობრივ თვითმმართველობას (45%), ნეიტრალური გაშუქების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კოალიცია "ქართულ ოცნებაზე" საუბრისას გამოვლინდა.




სუბიექტებზე სხვები უფრო მეტს საუბრობდნენ. ხოლო კოალიცია "ქართული ოცნების" შემთხვევაში პირდაპირი (61%) საუბარი სჭარბობდა ირიბს (39%). ასევე მეტი იყო პირდაპირი საუბარი (70%) თავისუფალი საქართველოს (გამუქების 4 წუთი) დროს.




24-30 სექტემბრის მანძილზე ტელეკომპანია „თრიალეთმა“ პოლიტიკურ სუბიექტებს შორის ყველაზე დიდი დრო (13 წუთი) კოალიცია "ქართულ ოცნებას" დაუთმო. გაშუქდა კოალიცია "ქართული ოცნების" შტაბ-ბინებზე განხორციელებული თავდასხმები, კოალიციის წევრების

დაპატიმრების შემთხვევები. 92% შემთხვევებში კოალიცია ნეიტრალურად შუქდებოდა. დაახლოებით 3 წუთი დაეთმო ერთიანი ნაციონალური მოძრაობის აქტივობების გაშუქებას. ზოგჯერ, მასალის გაშუქებისას ჟურნალისტის კომენტარში მისი განწყობა იგრძნობოდა. მაგალითად, ერთ-ერთ სიუჟეტში, რომელიც ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ გამართულ ყრილობას ეხებოდა ჟურნალისტი ამბობს: "კვლავ უფასოდ ჩამოიყვანეს რეგიონებიდან მოსახლეობა".


"გურია" (ქ. ოზურგეთი) - ყველაზე მეტი დრო (8 წთ.) ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გაშუქებას დაეთმო. გაშუქების 4 წუთი წილად ხვდა კოალიცია "ქართულ ოცნებას", 2-2 წუთი - ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და მთავრობას.



სუბიექტებზე პოზიტიურ და ნეიტრალურ ტონებში საუბრობდნენ. ცენტრალური საარჩევნო კომისიის და მთავრობის გაშუქებისას ნეგატიური ტონიც გამოვლინდა:




ერთიანი ნაციონალური მოძრაობის და კვალიცია "ქართული ოცნების" გაშუქებისას თითქმის თანაბარი იყო პირდაპირი და ირიბი საუბრის მაჩვენებლები. ხოლო ცენტრალური საარჩევნო კომისიის და მთავრობის გაშუქებისას მაღალი ირიბი საუბრის მაჩვენებელი გვექონდა:




საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია ძირითადად ადგილობრივ ახალ ამბებს აშუქებდა. წინა საანგარიშო პერიოდებთან შედარებით, საინფორმაციო გამოშვებები უფრო

დაბალანსებულია. სიუჟეტების უმეტესობა ოზურგეთში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, რამაზ ნიკოლაიშვილის აქტივობებს ეძღვნებოდა. თუმცა მოიმატა კოალიცია "ქართული ოცნების" აქტივობების გაშუქებამაც.


"იმერვიზია" (ჭიათურა) - არხმა ყველაზე მეტი დრო - 12 წუთი ერთიან ნაციონალურ მოძრაობას დაუთმო. გაშუქების 7 წუთი წილად ხვდა კოალიცია "ქართულ ოცნებას", 5 წუთი - მთავრობას.



სუბიექტებზე საუბრისას სამივე ტონი გამოვლინდა. გაშუქების ყველაზე მაღალი ნეგატიური ტონი კოალიცია "ქართული ოცნების მიმართ" გამოვლინდა (36%). ხოლო მთავრობა მხოლოდ პოზიტიურ (61%) და ნეიტრალურ (39%) ტონებში გაშუქდა.




სუბიექტების გაშუქებისას ირიბი - პირდაპირი საუბრის მაჩვენებლები თითქმის თანაბარი იყო:




სანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია "იმერვიზია" ძირითადად ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, გოგი ჩიკვილაძის წინასაარჩევნო აქტივობების აშუქებდა. სიუჟეტებში იგრძნობოდა ლოიალური დამოკიდებულება მმართველი პარტიის მიმართ.


"არგო" (ქ. ზესტაფონი) - არხმა დაახლოებით 2-2 წუთი დაუთმო ახალ მემარჯვენებს და ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. მონიტორინგის დანარჩენ სუბიექტებზე საუბარი ფაქტიურად არ ყოფილა. ამიტომ, შედეგების თვისებრივი ანალიზი აზრს კარგავს.




"ბორჯომი (ქ. ბორჯომი) - ტელეკომპანიამ ყველაზე მეტი დრო (9 წუთი) ცენტრალურ საარჩევნო კომისიას დაუთმო. გამუქების 7 წუთი წილად ხვდა ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, ხოლო 2 წუთი - ადგილობრივ თვითმმართველობას.



სუბიექტებზე ძირითადად ნეიტრალურ და ნეგატიურ ტონებში საუბრობდნენ. გაშუქების ნეგატიური ტონი მხოლოდ ცენტრალური საარჩევნო კომისიის (15%) და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის (6%) მიმართ გამოვლინდა.




სუბიექტების გაშუქებისას ირიბი და პირდაპირი საუბრის პროცენტული მაჩვენებელი სამივე, ყველაზე ხშირად გაშუქებული, სუბიექტის შემთხვევაში თანაბარი იყო:




საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია „ბორჯომი“ ყველაზე მეტ დროს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას უთმობდა. სიუჟეტები სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების აქტივობების შესახებაც მომზადდა, თუმცა ერთიან ნაციონალურ მოძრაობას ორჯერ მეტი დრო დაეთმო, ვიდრე ყველა სხვა პარტიას ერთად. მთლიანობაში, სიუჟეტები დაუბალანსებელია, თუმცა ჟურნალისტის ტექსტი მიკერძოებული არ არის და არც სუბიექტური პოზიცია იგრძნობა.

"მარნეული ტვ" (ქ. მარნეული) - 24-30 სექტემბრის მანძილზე არხის საინფორმაციო გადაცემებში მონიტორინგის სუბიექტები ფაქტიურად არ გაშუქებულან. დაახლოებით ერთი წუთი დაეთმო ადგილობრივ თვითმმართველობას. შესაბამისად შედეგების რაიმე სახის ანალიზი შეუძლებელია.




"მე-12 არხი" (ქ. ბოლნისი) - არხმა დაახლოებით 10 წუთი ერთიან ნაციონალურ მოძრაობას დაუთმო, 4 წუთი - ადგილობრივ თვითმმართველობას. მონიტორინგის სხვა სუბიექტები ფაქტიურად არ გაშუქებულან. ორივე გაშუქებულ სუბიექტზე მხოლოდ პოზიტიურ და ნეიტრალურ ტონებში საუბრობდნენ. თანაბრად გადანაწილდა პირდაპირი და ირიბი საუბრის მაჩვენებლებიც.




რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების მონიტორინგი

საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია „მე-12 არხი“ მხოლოდ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის და სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობას აშუქებდა. ყველაზე მეტი დრო მმართველი გუნდის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ კობა ნაყოფიას წინასაარჩევნო კამპანიას დაეთმო. კანდიდატის კომენტარები სპორტულ ღონისძიებებთან დაკავშირებითაც გაშუქდა: მან საფეხბურთო გუნდების, ბოლნისის „სიონისა“ და ზუგდიდის „ბაიას“ შეხვედრა შეაფასა.


გურჯაანი (ქ. გურჯაანი) - მონიტორინგის სუბიექტებიდან 11 წუთი ცენტრალურ საარჩევნო კომისიას დაეთმო, 7 წუთი - მთავრობას, 6 წუთი - კოალიცია "ქართულ ოცნებას", 4 წუთი - ერთიან ნაციონალურ მოძრაობას.



სუბიექტებზე საუბრისას სამივე ტონი გამოვლინდა. 89% ნეგატიური ტონში გაშუქდა ხელისუფლება, 53% - ცენტრალური საარჩევნო კომისია. გაშუქების თანაბარი ნეიტრალური და ნეგატიური ტონი გამოვლინდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შემთხვევაში.




სუბიექტების გაშუქებისას ირიბი საუბარი ბევრად სჭარბობდა პირდაპირს. მხოლოდ პრეზიდენტის შემთხვევაში იყო პირდაპირი ირიბზე მეტი.




საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია როგორც ადგილობრივ ისე ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს აშუქებდა. საინფორმაციო გამოშვებები მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია. თითქმის თანაბარი დრო დაეთმო ერთიანი ნაციონალური მოძრაობის (7 წთ.) და კოალიცია

"ქართული ოცნების" (6 წთ.) აქტივობების გაშუქებას. ასევე დიდი დრო (11 წუთი) დაეთმო ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილების გაშუქებას, რომელიც საარჩევნო უბანზე ვიდეო-ფოტო გადაღების წესებში შეტანილ შეზღუდვებს შეეხებოდა. ამ თემის გაშუქებისას ცესკოს მიმართ 53% ნეგატიურ ტონში საუბრობდნენ. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სიუჟეტები ძირითადად დაბალანსებულია, ჟურნალისტები ცდილობენ სხვადასხვა პოზიციები გააშუქონ.


"ლტვ" (ქ. ლაგოდეხი) - არხმა ყველაზე მეტი დრო, 16 წუთი, კოალიცია "ქართული ოცნების" გაშუქებას დაუთმო. გაშუქების 13 წუთი ჰქონდა ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, 4 წუთი - ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. მონიტორინგის სხვა სუბიექტები არ გაშუქებულან.



სუბიექტების გაშუქებისას სამივე ტონი გამოვლინდა:




კვალიცია "ქართული ოცნების" გაშუქებისას პირდაპირი საუბარი (82%) ბევრად მეტი იყო ირიბზე (18%), ხოლო ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შემთხვევაში პირიქით - 30% პირდაპირი, 70% ირიბი.




საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია სუბიექტებს ძირითადად კვალიცია „ქართული ოცნების“ და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შესახებ ამზადებდა. ასევე სრულად იყო ნაჩვენები 10 წუთიანი ფარული ჩანაწერი, სადაც კვალიციის მაჟორიტარი დეპუტატობის

კანდიდატი ლუკა კურტანიძე პრეზიდენტს ლანძღავს და საჯარო მოხელეს სამსახურის დატოვებას სთხოვს. აღსანიშნავია, რომ ამ სიუჟეტის გარდა, მონიტორინგის სუბიექტებისთვის დიდი დრო არ დაუთმიათ, შესაბამისად თვისებრივი ანალიზისთვის საკმარისი მასალა არ გვაქვს.


"მეგა ტვ" (ქ. ხონი) - საინფორმაციო გამოშვებებში დაახლოებით 7 წუთი დაეთმო პრეზიდენტს, 6 წუთი - მთავრობას, 4 წუთი - ხელისუფლებას და 3 წუთი - ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.



სუბიექტებზე გაშუქების ტონი ძირითადად ნეიტრალური და ნეგატიური იყო. მხოლოდ ხელისუფლების გაშუქებისას გამოვლინდა პოზიტიური (67%) და ნეგატიური (33%) ტონები. სამივე ტონი გამოვლინდა კვალიცია "ქართულ ოცნებაზე" და ერთიან ნაციონალურ მოძრაობაზე საუბრისას.




სუბიექტების გაშუქებისას ირიბი საუბარი ბევრად სჭარბობდა პირდაპირს. მხოლოდ პრეზიდენტის გაშუქებისას დაფიქსირდა პირდაპირი საუბრის მაღალი მაჩვენებელი - 76%.



საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია ყოველდღიურ (ორშაბათი-პარასკევი) საინფორმაციო გამოშვებებს ამზადებდა. ახალი ამბების პროგრამის ქრონომეტრაჟი 10-12 წუთს არ აღემატებოდა. მათში ზოგადად ქვეყანაში (სიუჟეტებში ცენტრალური არხების

ვიდეომასალებს იყენებენ) და რეგიონში მიმდინარე მოვლენების გაშუქებას თანაბარი დრო ეთმობოდა. მიმდინარე კვირაშიც აქტუალური იყო პენიტენციურ სისტემაში აღმოჩენილი დარღვევები, აქედან გამომდინარე მთვარობის ნეგატიურ ტონში გაშუქების მაჩვენებელი ისევ საკმაოდ მაღალი (63%) იყო. აღსანიშნავია, რომ საინფორმაციო გამოშვებები მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია და მათში განსხვავებული მოსაზრებებია წარმოდგენილი. თუმცა სიუჟეტებში, ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ ერთი მხარის შეფასებებია მოცემული.


"ზარი" (სამტრედია) - საინფორმაციო გამოშვებებში გაშუქდა: მთავრობა - 22 წუთი, პარლამენტი - 16 წუთი და ხელისუფლება - 2 წუთი. გაშუქებულ სუბიექტებზე მხოლოდ პოზიტიურ და ნეიტრალურ ტონებში საუბრობდნენ. ხოლო პირდაპირი გაშუქება სჭარბობდა ირიბს.




საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია „ზარმა“ მონიტორინგის მხოლოდ ორ სუბიექტს (მთავრობა, პარლამენტი) დაუთმო დრო. საინფორმაციო გამოშვებებში მხოლოდ რეგიონში მიმდინარე მოვლენები შუქდებოდა. სიუჟეტები (ისევე როგორც მთლიანად გადაცემები) დაუბალანსებელია. მაგალითად, რეგიონში სტუმრად მყოფი სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის, ლადო ვარძელაშვილის და მინისტრის მოადგილის ვიზიტებს, აგრეთვე სამინისტროს მიერ განხორციელებულ პროექტებს ხუთი სიუჟეტი (სპორტული მოედნის რეაბილიტაცია, სკოლის სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია, სპორტული კომპლექსის რეაბილიტაცია და ა.შ) მიეძღვნა. საინფორმაციო გამოშვებებში ასევე დიდი დრო დაეთმო

პარლამენტის წევრს, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარ დეპუტატს ავთანდილ სტურუას. მაგალითად, 10 წუთი დაეთმო ავთანდილ სტურუას ჟურნალისტებთან შეხვედრის გაშუქებას.


"მე-9 ტალღა" (ფოთი) - საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო, 10 წუთი, კოალიცია "ქართულ ოცნებას" დაეთმო. გაშუქების 7 წუთი ჰქონდა ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, 4 წუთი - ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას, ხოლო 3 წუთი - ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.



ერთიანი ნაციონალური მოძრაობის და ადგილობრივი თვითმმართველობის გაშუქებისას სამივე ტონი გამოვლინდა. დანარჩენ სუბიექტებზე მხოლოდ ნეიტრალურ და პოზიტიურ (კოალიცია "ქართული ოცნება", ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა) ან ნეიტრალურ და ნეგატიურ (ცენტრალური საარჩევნო კომისია) ტონებში საუბრობდნენ.



სუბიექტების გაშუქებისას გამოვლინდა როგორც პირდაპირი, ისე ირიბი გაშუქება. კოალიცია "ქართული ოცნების", ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის და ადგილობრივი თვითმმართველობის შემთხვევებში ეს მაჩვენებლები თანაბარი იყო. გაშუქების ასივე პროცენტი ირიბი იყო ცენტრალურ საარჩევნო კომისიაზე საუბრისას, ასევე მაღალი იყო ირიბი გაშუქება (84%) ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შემთხვევაში



საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია „მე-9 ტალღა“ პოლიტიკურ მოვლენებს აქტიურად აშუქებდა. დრო დაეთმო, როგორც ოპოზიციურ პარტიებს, ასევე მმართველ გუნდს. თუმცა, სხვა პარტიებთან შედარებით, ერთიანი ნაციონალური მოძრაობას პირდაპირი გაშუქების დაბალი მაჩვენებელი აქვს და ამასთან, ძირითადად ნეგატიურ ტონში გაშუქდა.

მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტის ტექსტი მიუკერძოებელი იყო, სიუჟეტის თემატიკიდან გამომდინარე ნეგატიურად შუქდებოდა ხელისუფლება და ცენტრალური საარჩევნო კომისია.

მომავალში განსახორციელებელი სამუშაო:

1-7 ოქტომბრის მანძილზე განხორციელდება რეგიონალური მაუწყებლების მონიტორინგის მეცხრე ეტაპი.



ანგარიში შექმნილია ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს საშუალებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია "ინტერნიუსი-საქართველო" და იგი არ ასახავს საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აშშ-ს მთავრობის შეხედულებებს.